ანომალია

# მიშა, გამოდი ყანიდან!

## რა კავშირი აქვს წყალტუბოს ყანებში მოშლიგინე და ქვასროლია მოჩვენებას სააკაშვილთან?

***ბოლო დროს საქართველოში ყველაფერი ყარს — ჰაერიც, პოლიტიკური ცხოვრებაც, „საბას“ პრემიაც და ყველა ის დანაპირებიც, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ მოსახლეობას ჩამოურიგა.***

დიდი შექსპირისა არ იყოს, ეტყობა, საქართველოში მართლა რაღაც დალპა...

მაგალითად, **ამ ორიოდე დღის წინათ ჩოხატაურში აღმაშენებლის ქუჩაზე, ჯართის შემგროვებლების მიერ ნაპოვნი ძველი ავზიდან ისეთმა საშინელმა სუნმა ამოხეთქა, რომ გარშემო ხეები ერთიანად გახმა, იქვე მყოფებს გულისრევა დაეწყოთ და სამაშველო სამსახური იძულებული გახდა, ახლომახლო მცხოვრები რვა ოჯახი დროებით სხვაგან გაეხიზნათ.**

დღემდე ვერ გაიგეს, რა აქოთდა და რა ყარს ჩოხატაურში, ისევე, როგორც ვერც ინდოეთის ერთ-ერთ შტატში მიხვდნენ, ცამოწმენდილზე, მოულოდნელად რატომ აფეთქდა მათ ქალაქში წამომართული უშველებელი მეტალურგიული ქარხანა, რომლის ღუმელებშიც საქართველოდან ჩატანილი ჯართი ჩაყარეს. როგორც აღმოჩნდა, მავანს, ჯართში რომელიღაცა რუსული ბაზიდან წამოღებული ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი ჩაებარებინა...

ჩოხატაურის მახრჩობელა აირის ამბავი იქით იყოს, და ამ სამიოდე დღის წინათ გავეცანი სააგენტო „PIA.GE“-ს მიერ გავრცელებულ უცნაურ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, **წყალტუბოს რაიონის სოფელ ჩუნეშში იხილეს უცნობი პიროვნება, რომელიც საიდანღაც მოჩვენებასავით გამოტყვრება, ხალხს ქვას დაუშენს და ყანებში იმალება.**

როგორც ჩუნეშის მკვიდრი **ემზარ ქუთათელაძე** აცხადებს, ხუთი დღის განმავლობაში, ყოველ საღამოს, მის ეზოში ქვები ცვიოდა: **„მოსვენება გვაქვს დაკარგული მთელ ოჯახს. მსგავსი არაფერი გვინახავს. პოლიციაც კი იყო მოსული და რამდენიმე დღეს ერთად ვყარაულობდით. ვხედავდით, ყანაში როგორ დარბოდა, მაგრამ ვერ დავიჭირეთ, რადგან ხან უხილავი იყო და ხან კიდევ ხილული“.**

პატივცემულო მკითხველო, ეს რომ წავიკითხე, მაშინვე გიგა ბოკერიასკენ გავიშვირე ხელი და მეგობრებსა და კოლეგებს გულწრფელად განვუცხადე — საქართველოში ყველაზე უფრო ცნობილი ქვასროლია იელოველების სტაჟიანი ჯაშუში გიგა ბოკერია ბრძანდება და, ალბათ, ის თუ დარბის წყალტუბოს ყანებში-მეთქი, მაგრამ მერე ემზარ ქუთათელაძის მონათხრობი გულდასმით რომ გავაანალიზე, ერთბაშად დავასკვენი: **წყალტუბოს რაიონის სოფელ ჩუნეშის ყანებში მოშლიგინე და ქვასროლია უცნობი, რომელიც „ხან უხილავია და ხან ხილული“, მხოლოდ და მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი შეიძლება იყოს!**

უთუოდ გემახსოვრებათ ბატონ **ელიზბარ ჯაველიძის** მიერ თურქულიდან ბრწყინვალედ ნათარგმნი **აზიზ ნესინის** მოთხრობა **„სახურავზე გიჟია“**, რომელშიც საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ სწორედ მიხეილ სააკაშვილი ამოიცნო. **2003 წლის 2 ნოემბერს, არჩევნების წინ, ბოლნისში ატეხილი ქვათაცვენაც გემახსოვრებათ...**

**ჰოდა, გიჟი რომ სახურავიდან ჩამოვიდოდა და ქვის სროლას დაიწყებდა, არ ვიცოდით?**

აკი, თავის დროზე სააკაშვილი ფოთშიც ისე ჩაფრინდა „ღრუბელ-ღრუბელ“, რომ რუსი ოკუპანტების რადარებმა და ავიაგამანადგურებლებმა ვერ დააფიქსირეს!

მოკლედ, რაც ჩუნეშელმა ემზარ ქუთათელაძემ ქვასროლია და ყანებში მოშლიგინე მოჩვენების შესახებ გვამცნო, აშკარად გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს სწორედ მიხეილ სააკაშვილთან, რომელიც, ეტყობა, ხელისუფლებაში მოსასვლელად გასაიდუმლოებულ სამხედრო წვრთნას გადის!

**მიშა, გამოდი ყანიდან!**

**ამათ რევოლუცია არ დასჭირდებათ, მგონი, ისედაც გეპატიჟებიან ხელისუფლებაში!**

***დიტო ჩუბინიძე***



პოლიტიკოსის სიტყვა



# თემურ შაშიაშვილი:

## მე ვიბრძოლებ ისეთი ხელისუფლებისათვის, რომლისთვისაც სულ ერთი არ იქნება, რა იწერება მასზე და მის წევრებზე პრესაში... სულ ერთი არ იქნება, რას ამბობენ ტელევიზიებში, საერთოდ, ელექტრონულ მედიაში!

# 1 ოქტომბერს ჩააბარეთ ანგარიში ქართველ ხალხს!–

***ასეთია საინიციატივო ჯგუფის პირველი მიმართვა „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილისადმი.***

8 ივლისიდან იწყება მოსამზადებელი სამუშაოები

# სახალხო სასამართლოს

ჩასატარებლად, რომელიც უნდა დაგვირგვინდეს **ნდობის რეფერენდუმით!** გავასამართლოთ „ნაცმოძრაობა“, რომელიც არ გაასამართლა „ქართულმა ოცნებამ“ და პასუხი მოვთხოვოთ „ქართულ ოცნებას“, როგორ ასრულებს ის ხალხისათვის მიცემულ სიტყვას. **დავუბრუნოთ ხალხის კონტროლს ხალხის კონტროლიდან გასული ხელისუფლება! დაე, ყველამ იცოდეს, ვინ აჩოქებს ქართველ ხალხს!**

**ჩვენში დემოკრატიას საკმაოდ დიდი ხანია, ებრძვის სულთამხუთავი იგნორირება, რომელმაც უკვე პოლიტიკური ცუნამის მასშტაბი შეიძინა.** ეს პროცესი ჯერ კიდევ „მოქკავშირის“ დროს დაიწყო, იგნორირებამ განუსაზღვრელ მასშტაბებს მიაღწია „ნაცმოძრაობის“ ეპოქაში და მყარ პოზიციას ინარჩუნებს „ქართული ოცნების“ ხელშიც! რაც გინდა თქვი, ვისზეც გინდა თქვი, არც მთქმელს სთხოვენ პასუხს ნათქვამისათვის და არც იმას, ვისზეც ამბობ. მით უფრო, რომ თუ ეს უკანასკნელი სახელმწიფო მოხელეა.

**ევროპაში პასუხს გაგებინებენ ცილისწამებაზე და წარმოუდგენელია, მოკვლევის გარეშე დარჩეს მედიის საშუალებებით გამოქვეყნებული ბრალდება რომელიმე ხელისუფალის მიმართ. ესაა ევროპული გზა. სწორედ ამიტომ, ჟურნალისტებიც და პოლიტიკოსებიც მკაცრად აკონტროლებენ ყოველ გამოთქმას, მაგრამ რასაც წერენ, გამორიცხულია, რეაგირების გარეშე დარჩეს. ანალიზი ადასტურებს, რომ ევროპაში მიმდინარე წელს ასზე მეტი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე შეეწირა მედიაპუბლიკაციებს.**

ჩვენთან სრულიად განსხვავებული, სწორედ რომ ევროპისაგან განსხვავებული განწყობაა. მაგალითიც კი არ გვაქვს, რომ რომელიმე ჩინოვნიკზე გამოქვეყნებულ მამხილებელ მასალას რაიმე სახის გაგრძელება მოჰყვა სახელისუფლებო წრეებში. სწორედ **იგნორირება** კლავს სიმართლეს, სამართლიან გარემოს და ყველაფერი ეს ხელისუფლებიდან მოდის. ხალხი, ჟურნალისტები უმძიმეს მამხილებელ ფაქტებს აქვეყნებენ... აშკარად ჩანს, რომ აბსოლუტური უმრავლესობა სიმართლეა.

**იგნორირება** არის — არამარტო საკუთარი, არამარტო პარტიული მეგობრის, არამარტო შენთვის მისაღები ადამიანისათვის სკამის შენარჩუნების გზა, არამედ, ქვეყანაში უსამართლო გარემოს, უსამართლობის დამკვიდრების დამანგრეველი გზა. სწორედ **იგნორირების** გამოა ხელისუფლება გასული ხალხის კონტროლიდან ყველა დონეზე — ცენტრალურით დაწყებული, ადგილობრივით დამთავრებული.

**ხელისუფლება, რომლისთვისაც იგნორირება ფარია საკუთარი სახის და იმიჯის შენარჩუნებისათვის, საქვეყნო საქმეს ვერასოდეს გააკეთებს. ასეთი ხელისუფლება ხალხის მსახური კი არ არის, არამედ ხალხს აქცევს თავის მსახურად, როგორც ეს დიდი ხანია, დამკვიდრდა საქართველოში და რასაც, სამწუხაროდ, ჩვენც ვითმენთ.**

მე ვიბრძოლებ ისეთი ხელისუფლებისათვის, რომლისთვისაც სულ ერთი არ იქნება, რა იწერება მასზე და მის წევრებზე პრესაში... სულ ერთი არ იქნება, რას ამბობენ ტელევიზიებში, საერთოდ, ელექტრონულ მედიაში.

ვიცი, ეს განწყობა ბევრშია. ჩვენ შევძლებთ ერთმანეთთან მისვლას. პირველი ნაბიჯი **8 ივლისის** შეკრება იქნება. **ეჭვი არ მეპარება, რომ 2014 წლის 1 ოქტომბერი იქნება დღე, როცა პასუხი მოეთხოვება „ქართულ ოცნებას“ დაპირებულის შეუსრულებლობისათვის და იმისათვისაც, რომ ასე პარპაშობს ქვეყანაში „ნაცმოძრაობა“, ის ძალა, რომელმაც უკადრებელი აკადრა ხალხს და ქვეყანას, გენოციდი მოუწყო საკუთარ ხალხს.** პასუხი მოეთხოვება იმისათვისაც, რომ სამართლიანობა არ დაადგინა — არც ხალხს, არც ბიზნესმენებს წართმეული არ დაუბრუნა, მაშინ როცა, თავისი ყველაფერი დაიბრუნეს. **პასუხი მოეთხოვება იმისათვის, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ ღარიბი კიდევ უფრო ღარიბი და მდიდარი კი — უფრო მდიდარი გახდა.**

კვირგვინოსნები



**ნიკოლოზ მეჯვანაძე**
*„უფლებადამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელი*

**ბელგიაში,** რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყანაა, თუკი პირი პირველად არ გამოცხადდება არჩევნებზე არასაპატიო მიზეზით, ჯარიმდება ადმინისტრაციული წესით **50 ევროთი,** ხოლო, თუ მეორედ არ გამოცხადდა საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად, ჯარიმა იზრდება **125 ევრომდე** და, მესამედაც თუ არ გამოცხადდა, მას **საერთოდ ჩამოერთმევა ხმის უფლება 10 წლის ვადით და, შესაძლოა, აეკრძალოს საჯარო სამსახურში რაიმე თანამდებობის დაკავება.** თუ მაგალითად, **საბერძნეთის** მოქალაქე საზღვარგარეთ აპირებს გამგზავრებას, უპირველეს ყოვლისა, უნდა მისცეს ხმა არჩევნებზე და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა უფლება საზღვარგარეთ გამგზავრების. აქაც ხმის მიცემის თავის არიდებისთვის არის ჯარიმა და **ეს ჯარიმა საკმაოდ სოლიდურია,** გააჩნია რამდენჯერ აარიდებს თავს, მაგრამ აქ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ, **თუ სამჯერ აარიდა ადამიანმა თავი, ეს უკვე ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ანუ ადამიანი პატიმრობაში ხვდება.**

მსგავსი ჯარიმები მოქმედებს **იტალიაში, გერმანიაში, ავსტრიაში, კვიპროსსა** და **ლუქსემბურგში,** ანუ წამყვან ევროპულ ქვეყნებში. **ავსტრალიაში** 1924 წლიდან მოყოლებული, 16 წლის ასაკიდან უკვე სავალდებულოა არჩევნებში მონაწილეობა და, **ვინც არ გამოცხადდება, ჯარიმდება პირველ შემთხვევაში 13 დოლარით. მესამეჯერ არ მიხვედი არჩევნებზე? სახელმწიფო სამსახურში ასეთ ადამიანს ეკრძალება რაიმე თანამდებობის დაკავება, ხოლო, თუ კიდევ გააგრძელა თავხედობა და არასაპატიო მიზეზით არჩევნების გაცდენა, იქ არის გაცილებით დიდი რაოდენობით პატიმრობა — 2-3 წლამდე. არგენტინასა და ბრაზილიაში** პირველი ჯარიმა 200 დოლარამდეა, ასევე, არჩევნებისთვის თავის ამრიდებელ ადამიანს **ეკრძალება 3 წლით რომელიმე საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავება,** მაგრამ ყველაზე საინტერესოა **პაკისტანის** მაგალითი: იქ პირველი ჯარიმაა 60 დოლარი და ეს გაღლეტილი პაკისტანისთვის საკმაოდ დიდი თანხაა, მაგრამ ნახეთ: **თუ მეორეჯერ მოხდა არჩევნებზე თავის არიდება არასაპატიო მიზეზით, ამ შემთხვევაში ადამიანს 5 წლით ეკისრება გამოსასწორებელი სამუშაოები.**

**თურქეთში** პირველი ჯარიმა არის 14 დოლარი, ადმინისტრაციული სასჯელის შემდეგ უკვე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაა მოქალაქის მიმართ. **ეგვიპტეში** პირველი შემთხვევა 1 დოლარია ჯარიმა და შემდგომში იქაც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაა.

**ჩვენთანაც რომ ეს განხორციელდეს, ჩვენმა ორგანიზაციამ ამაზე ბევრი იმუშავა და მხოლოდ იდეის დონეზე არ გვაქვს მოფიქრებული.**

„კვირის ქრონიკა“